MIDDLE ASSYRIAN PALACE DECREES (MAPD)
შუა ასურული პერიოდის სასახლის დადგენილებებები

CHAREKISHVILI NINO
Professor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)
Rustavi Highway N22a, 0114, Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-9568-2926
n.charekishvili@gipa.ge

Abstract. The Middle Assyrian Palace Decrees, issued by Assyrian kings, constitute a corpus of regulations governing the internal operations and behavior of palace personnel, particularly the conduct of royal women and the male officials who interacted with them. Twenty-three decrees have survived, promulgated by nine kings whose reigns collectively span nearly three centuries (c. 1363–1076 BCE):

- Aššur-uballiṭ I (r. 1363–1328 BCE);
- Enlil-nārārī (r. 1327–1318 BCE);
- Adad-nārārī I (r. 1305–1274 BCE);
- Shalmaneser I (r. 1273–1244 BCE);
- Tukulti-Ninurta I (r. 1243–1207 BCE);
- Ninurta-apil-Ekur (r. 1191–1179 BCE);
- Aššur-dan I (r. 1178–1133 BCE);
- Aššur-rēša-iši I (r. 1132–1115 BCE);
- Tiglath-pileser I (r. 1114–1076 BCE).

Nine fragmentary sources of these decrees are known, all dating to the Middle Assyrian period. Eight, discovered at Aššur and now preserved in Berlin, were first published together by Weidner in 1954/56. The ninth source (now housed at Yale University), acquired through a private collection, was published by Beckman and Foster in 1988. The decrees primarily address the following themes:

- **Palace order**: strict regulations concerning movement within palace buildings and grounds;
- **Control of royal women**: rules on the behavior, property, and interactions of royal women with men;
- **Conduct of personnel**: severe punishments for various offenses, such as blasphemy or violations of eunuch status;
- **Management of slaves**: provisions restricting the mistreatment of slaves by royal women;
- **Protocol**: regulations for announcing the king's death and for conduct during related rituals.

The compilation of the decrees is generally attributed to the reign of Tiglath-pileser I. Overall, the documents illustrate the rigid hierarchy and strict control that characterized the Assyrian royal court, where the actions of every individual were closely regulated.

Keywords: Assyriology, Mesopotamia, Middle Assyrian, Palace Decrees, Laws.

ნინო ჩარექიშვილი
პროფესორი, დოქტორი,
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
მის.: რუსთავის გზატკეცილი N22ა, 0114,
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-9568-2926
n.charekishvili@gipa.ge

აბსტრაქტი: შუა ასურული პერიოდის სასახლის დადგენილებები გამოცემული იყო ასურელი მეფეების მიერ, და წარმოადგენდა რეგულაციების კრებულს, რომელიც ეხებოდა სასახლის პერსონალის შიდა საქმიანობასა და ქცევას, კერძოდ, სასახლის ქალებისა და მამრობითი სქესის იმ მოხელეების ქცევას, რომლებიც მათთან ურთიერთობდნენ. შემორჩენილი ოცდასამი დადგენილება ცხრა მეფის მიერ არის გამოცემული, რომელთა მმართველობის პერიოდი თითქმის სამ საუკუნეს მოიცავს (ძვ.წ. 1363-1076 წწ.):

- აშურ-უბალიტ I (მეფობდა ძვ.წ. 1363-1328 წწ.);
- ენლილ-ნირარი (მეფობდა ძვ.წ. 1327-1318 წწ.);
- ადად-ნირარი I (მეფობდა ძვ.წ. 1305-1274 წწ.);
- სალმანესერ I (მეფობდა ძვ.წ. 1273-1244 წწ.);
- თუქულთი-ნინურთა I (მეფობდა ძვ.წ. 1243-1207 წწ.);
- ნინურთა-აფილ-ექური (მეფობდა ძვ.წ. 1191-1179 წწ.);
- აშურ-დან I (მეფობდა ძვ.წ. 1178-1133 წწ.);
- აშურ-რეშა-იში I (მეფობდა ძვ.წ. 1132-1115 წწ.);
- ტიგლათ-ფილესერ I (მეფობდა ძვ.წ. 1114-1076 წწ.).

სასახლის დადგენილებების ცხრა ფრაგმენტული წყარო ყველა შუა ასურული პერიოდით თარიღდება. რვა მათგანი (ახლა ბერლინშია დაცული) აღმოჩენილია ასურში და პირველად ერთად გამოიცა ვაიდნერის მიერ 1954/56 წლებში. მეცხრე წყარო (იელის უნივერსიტეტშია დაცული), რომელიც შეძენილი კოლექციიდანაა, გამოქვეყნდა ბეკმანისა და ფოსტერის მიერ 1988 წელს. დადგენილებები ძირითადად ეხებოდა შემდეგ თემებს:

- **სასახლის წესრიგი**: მკაცრი რეგულაციები სასახლის შენობებსა და ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ.
- **სამეფო ქალების კონტროლი**: წესები სამეფო ქალების ქცევასთან, მათ ქონებასა და მამაკაცებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით.

- **პერსონალის ქცევა**: დასჯის მკაცრი ფორმები სხვადასხვა დანაშაულისთვის, მაგალითად, ღმერთის სახელის შეურაცხყოფისთვის ან საჭურისების სტატუსის დარღვევისთვის.
- **მონების მართვა**: მითითებები მონების დასჯის შესახებ, რომელიც ზღუდავდა ქალბატონების ძალადობას.
- **პროტოკოლი**: სპეციალური წესები მეფის გარდაცვალების შეტყობინებისა და რიტუალების დროს ქცევის შესახებ.

ეს დადგენილებები ტიგლათ-ფილესერ I-ის დროს უნდა იყოს შეგროვილი. დოკუმენტები ასახავს ასურეთის სამეფო კარზე არსებულ მკაცრ იერარქიასა და კონტროლს, სადაც თითოეული პირის მოქმედება მკაცრად იყო რეგლამენტირებული.

საძიებო სიტყვები: ასირიოლოგია, მესოპოტამია, შუა ასურული, სასახლის დადგენილებები, კანონები.

დადგენილებები

1. აშურ-უბალიტ I (მეფობდა ძვ.წ. 1363-1328 წწ.)

1. (1-12 [A 1-12, B 1-11, C 1-2]). [აშურ-უბალიტმა, ზედამხედველმა, ერიბა-ადადის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება ...-თვის:] [თუ ...] საკეტები (?), რომლებიც სასახლის პერსონალის წინაშეა [...] ის არ უნდა დასახლდეს: საკეტები (?) ...] და ... გაკეთებულია [...] ან ვინმე სასახლის ტერიტორიიდან [... ვინც] შევა და ნახავს მათ. [...] საკეტები (?), სასახლის მეთაურის ნებართვის გარეშე [...] პროვინციის მმართველი [...]-ს; მათ უნდა შელესონ სასახლის სახურავი; ის [... ვინც] სასახლის სახურავზე ავა, ის დამნაშავეა და ამისთვის დაისჯება. [... შენობის გეგმის მიხედვით [...] ბებიაქალი და *ქადილთუ*-ქალი[1] [...] არ უნდა შევიდნენ და არ უნდა გამოვიდნენ.

2. ენლილ-ნირარი (მეფობდა ძვ.წ. 1327-1318 წწ.)

2. (13-21 [A 13-21, B 12-20, C 3-11, D 1-9]). ენლილ-ნარარი, ზედამხედველი, [აშურ-უბალიტის ძე, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო,] გამოსცა [დადგენილება ...-თვის:] ღმერთმა ნუ ქნას, რომ მეფის ვაჟი, მეფის ძმა, ან მეფის ერთ-ერთი ცოლი გარეთ, სასახლის მიღმა დაიღუპოს, ან სასახლის რომელიმე ქალი გარდაიცვალოს, თუ მეფე შიდა ქალაქში იმყოფება, [ნებისმიერმა ოფიციალურმა პირმა], რომელიც ხელმისაწვდომია, უნდა წავიდეს და მოახსენოს სასახლის ზედამხედველს, ხოლო სასახლის ზედამხედველმა მეფეს უნდა მოახსენოს... თუმცა, თუ მეფე სასახლიდან ორი საათის სავალ მანძილზეა,

[1] *qadištu(m),* MA, MB *qadiltu*, NA *qadissu*. Mari also *qaššatum* (a type of priestess) [(MUNUS.)NU.GIG]; MB also as fPN; < *qaššu*; — *qaššdatu.*

სასახლის ზედამხედველმა [წერილობითი ფირფიტები უნდა გაუგზავნოს] მეფეს. [...] თუ მეფე სასახლიდან ორ საათის სავალზე მეტი მანძილით არის დაშორებული, მან არ უნდა გაუგზავნოს წერილობითი ფირფიტები მეფეს; [...] [სასახლის ქალებმა] სამგლოვიარო წესები მეფის ბრძანებულების მიხედვით უნდა შეასრულონ. თუ ზედამხედველის ნებართვის გარეშე, ის (ოფიციალური პირი) უშუალოდ სასახლის პერსონალს მოახსენებს (სიკვდილის შესახებ), მათ მის წინააღმდეგ ბრალდება უნდა დაამტკიცონ, [...] მათ [ცხვირი და ყურები უნდა მოჭკვეთონ(?).].

3. ადად-ნირარი I (მეფობდა ძვ.წ. 1305-1274 წწ.)

3. (22-27 [B 21-22, C 12-17, D 10-15]). ადად-ნირარი, ზედამხედველი, არიკ-[დენ-ილის[2] ძე, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება ...-თვის:] [ქალები, რომლებიც სასახლეში მუშაობენ] და სასახლის გარედან მყოფ კაცებზე არიან დაქორწინებულნი და რომლებიც ქმრების სახლებში ცხოვრობენ, [არ უნდა ...] [დღესასწაულის] დღეს, მეფის ნებართვის გარეშე. [თუ ...] ვინც შიდა ქალაქში ცხოვრობს, ნებართვას არ ითხოვს, [... ვინც] ცხოვრობს, კარისკაცები [...], ან სამეფო საჭურისი, ან კარისკაცი [...].

4-5. სალმანესერ I (მეფობდა ძვ.წ. 1273-1244 წწ.)

4. (28-32 [D 16-19. E 1-3]). სალმანესერმა, ზედამხედველმა, [ადად-ნირარის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება ...-თვის:] [...] მოგზაურობისას [...].

5. (33-37 [E 4-8. I 1-5]). სალმანესერმა, ზედამხედველმა, ადად-ნირარის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება [სასახლის] პერსონალისთვის: შალმანასერმა, ზედამხედველმა, ადად-ნარარის ვაჟმა, თავადაც ზედამხედველმა, გამოსცა ბრძანებულება [სასახლის] პერსონალისთვის: სასახლის ქალმა არ უნდა [მისცეს] ოქრო, ვერცხლი ან ძვირფასი ქვები სასახლის მონას; [...] ხელოსანმა არ უნდა [...; თუ ...] და სასახლის მეთაური ნებას დართავს (მას), რომ წავიდეს, მათ არ უნდა გაათავისუფლონ სასახლის ქალი; [თუ ... ან] სასახლის მონას ან [...], მას ცხვირი და ყურები უნდა მოაჭრან. ხელოსანმა, [ვინც] სასახლის მონისგან მიიღო [ოქრო, ვერცხლი ან ძვირფასი ქვები, უნდა ...], სამუშაო [...]; ცხელი ზეთი (?) უნდა დაასხან [იმ პირს], რომელმაც არ დაასმინა (ხელოსანი) მეფესთან; ხოლო [...] მისი ვაჟები სასახლის მონები უნდა გახდნენ.

6-8. თუქულთი-ნინურთა I (მეფობდა ძვ.წ. 1243-1207 წწ.)

6. (38-45 [E 9-16, F 1-8, I 6-13]). თუქულთი-ნინურთამ, ზედამხედველმა, სალმანესერის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, [გამოსცა] დადგენილება [...-თვის:] როცა მეფე შიდა ქალაქს ტოვებს, სასახლის პერსონალმა, რომელიც მასთან ერთად მოგზაურობს,

[2] არიქ-დენ-ილი — ასურეთის მეფე შუა ასურული პერიოდის დროს. არიქ-დენ-ილი სამეფო ტახტზე ელილ-ნირარის შემდეგ ავიდა, მისი მმართველობა დაიწყო ძვ.წ. 1307 წელს და დასრულდა ძვ.წ. 1296 წელს, მის შემდეგ ასურეთის სამეფო ტახტზე ადად-ნირარი I ავიდა.

[უნდა შეიტანოს] თავისი ჭურჭელი(?) [სასახლეში; მხოლოდ] სასახლის მეთაურს შეუძლია გახსნას სამკაულების, ტანსაცმლის, [მატყლისა] და ზეთის შემცველი ის ჭურჭელი, რომელიც მეფესთან ერთად მოგზაური პერსონალისაა; მათ უნდა ამოიღონ(?) სათანადო წესით(?); მათ უნდა მოკლან ნებისმიერი, ვინც რაიმეს ამოიღებს, იქნება ეს ღამით თუ დღისით, სასახლის მეთაურის ნებართვის გარეშე. [თუ მეფე] დაბინავდება *ლუშმუ*-სახლში,[3] ან მდინარის სახლში, ან შიდა ქალაქში მდებარე სხვა რომელიმე სასახლეში, სასახლის ქალმა არ უნდა მოითხოვოს რაიმე; მან არ უნდა მოითხოვოს ქვედაბოლო, თეთრი მოსასხამი, სამოგზაურო მოსასხამი, [...], ტყავის ჩექმები ან სხვა რამ, მეფის ან სასახლის მეთაურის ნებართვის გარეშე, და მათ არაფერი უნდა გაიტანონ სასახლიდან (ნებართვის გარეშე). იმ დღეს, როდესაც ის [მეფესთან შესახვედრად(?)] გაემგზავრება, სასახლის მეთაურმა და კარისკაცებმა უნდა დაათვალიერონ მისი გარდერობი, მაგრამ არ უნდა შეაჩერონ.[4]

7. (46-47 [E 17-18, F 9-10. G 1-2. I 14-151). თუქულთი-ნინურთამ, ზედამხედველმა, სალმანესერის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება სასახლის პერსონალისთვის: როდესაც მსხვერპლშეწირვის დრო მოახლოვდება, დედათა წესის[5] დროს სასახლის ქალი არ უნდა წარსდგეს მეფის წინაშე.

8. (48-51 [E 19, F 11-14. G 3-6, I 16]). თუქულთი-ნინურთამ, ზედამხედველმა, სალმანესერის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება სამეფო კარის მსახურებისთვის: „ღმერთი-მოგზაურობის“ დღეს, როდესაც ღვთაების ქანდაკება სასახლეში შევა, სასახლის ადმინისტრატორმა, მაცნემ, წყლის შემასხურებელთა მეთაურმა და შიდა ტერიტორიის ექიმმა უნდა შეამოწმონ სამეფო კარის მსახურები. თუ აღმოაჩენენ რომელიმე სამეფო საჭურისს ან მსახურს, რომელიც არ არის დასაჭურისებული, მათ უნდა შეატყობინონ და გადასცენ ის, რათა მეორედ დასაჭურისდეს. თუ ეს მოხელეები ამას არ შეატყობინებენ, ისინი დამნაშავეები იქნებიან და ამისთვის დაისჯებიან.

9-17. ნინურთა-აფილ-ექური (მეფობდა ძვ.წ. 1191-1179 წწ.)

9. (52-55 [F 15-18, G 7-10]). ნინურთა-აფილ-ექურმა, ზედამხედველმა, ერიბა-ადადის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება თავისი სასახლისთვის: თუ მეფეს დღისით სამეფო საჭურისის გაგზავნა სურს [სასახლის ქალების

[3] ამ ტექსტის მიხედვით, „ლუშმუ-სახლი“ (lušmu-house) არის ერთ-ერთი ადგილი, სადაც ასურეთის მეფეს შეეძლო დარჩენა. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „ლუშმუს“ ზუსტი მნიშვნელობა უცნობია, კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს იყო სამეფო რეზიდენცია ან სასახლის ნაწილი.

[4] ამ ნაწილში ჩანს მკაცრი კონტროლი ქონებაზე: მეფის არყოფნის დროს, სასახლის ქალებს ეკრძალებათ რაიმე ნივთის, განსაკუთრებით ტანსაცმლის, მოთხოვნა ან გატანა სასახლიდან მეფის ან სასახლის მეთაურის ნებართვის გარეშე. ეს წესი მიზნად ისახავს სასახლის ქონების დაცვას და პრევენციას, რომ რაიმე ძვირფასი ნივთი არ გაიტანონ უკანონოდ. ასევე ჩანს შეზღუდული კონტროლი პირად ნივთებზე: მიუხედავად მკაცრი წესებისა, ტექსტის ბოლო ნაწილი იძლევა გარკვეულ თავისუფლებას. როდესაც ქალი მეფესთან შესახვედრად მიდის, მისი გარდერობი მოწმდება, რათა დარწმუნდნენ, რომ არაფერი გააქვს უკანონოდ, მაგრამ მას არ აჩერებენ და არ უშლიან ხელს წასვლაში. ამით კონტროლი ეხება მხოლოდ ნივთებს და არა თავად პიროვნების თავისუფლებას, რაც მნიშვნელოვანი დეტალია.

[5] მენსტრუაციის, სიტყვ.: მიუწვდომელი.

საცხოვრებელში] და ქალები ქალაქში იმყოფებიან, [ის (საჭურისი)] სასახლეში არ უნდა შევიდეს ქალაქის სასახლის მეთაურის ნებართვის გარეშე, სანამ *ითხურუ*[6] კარავი დგას. მან ჯერ სასახლის მეთაურს უნდა მოახსენოს. სანამ ის შიგნით შევა (და დარჩება), ქალები უნდა გავიდნენ და სასახლის მეთაური უნდა დადგეს [...] შესასვლელთან. თუ ქალები საპროცესიო რეზიდენციაში იმყოფებიან, ის (საჭურისი) მათთან არ უნდა შევიდეს სასახლის მეთაურისა და წყლის შემასხურებელთა მეთაურის ნებართვის გარეშე. თუ სამეფო საჭურისი ამ ოფიციალური პირების ნებართვის გარეშე შევა, ის დამნაშავეა და ამისთვის დაისჯება.

10. (56-59 [F 19-22, G 11-13]). [ნინურთა-აფილ-ექურმა, ზედამხედველმა,] ერიბა-ადადის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება თავისი სასახლისთვის: (ნებისმიერი სამეფო ქალი), იქნება ეს მეფის ცოლი თუ სასახლის სხვა ქალი, რომელიც [...] ერთმანეთში იჩხუბებს და კამათის დროს ღვთის სახელს შეურაცხყოფს, [...] ის [(არ)] უნდა შევიდეს: ყელი უნდა გამოჭრან მას, ვინც ღვთაება აშური [შეურაცხყო (?)]; მათ კამათში [...] ... [...] მისი მოთხოვნა[7] უარყოფილი იქნება.

11. (60-63 [F 23-26, G 14]). [ნინურთა-აფილ-ექურმა, ზედამხედველმა, ერიბა-ადადის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო,] გამოსცა დადგენილება: [თუ ... იტყვის: „...] ჩემი სიცოცხლე," არასათანადო მიზნებისთვის [...; მან] არ უნდა [დაიფიცოს] კამათში მეფის სახელით; და მით უმეტეს, მან არ უნდა დაიფიცოს ღვთის სახელით. [...] მათ უნდა მოკლან სასახლის ქალი, რომელიც არასათანადო მიზნებისთვის ღვთის სახელით იფიცებს, [...] მათ არ უნდა დაინდონ მისი სიცოცხლე.

12. (64-66 [F 27-29]). [ნინურთა-აფილ-ექურმა, ზედამხედველმა, ერიბა-ადადის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება [...-თვის: ...] მეფის ცოლი [...] მისი [...] მათი (ქალების) [...] მან დაიფიცა [...] ის (არ) დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

13. (67-69 [F 30-32]). [ნინურთა-აფილ-ექურმა, ზედამხედველმა, ერიბა-ადადის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო,] გამოსცა [დადგენილება ...-თვის:] თუ [...] სასახლის ქალი [...].

14. (70-72 [F 33-35, H 1-2]). [ნინურთა-აფილ-ექურმა, ზედამხედველმა, ერიბა-ადადის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება] მისი [...]-თვის: თუ [...] ის [...] ან შეურაცხყოფას წარმოთქვამს, თანაბარი სტატუსის მქონე ქალი [...] რომ მან [...] დაინახა ან გაიგონა, ის არ უნდა [...]

15. (73-75 [F 36-38, G rev. 1, H 3-5]). [ნინურთა-აფილ-ექურმა, ზედამხედველმა, ერიბა-ადადის ძემ, რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება] [თავისი] სასახლის პერსონალისთვის: [...] გაქცეული ქალი [...] სანამ მეფე არ შეატყობინებს მას [...] მეფემ [(...)] არ შეატყობინა მას [...]

---

[6] *itḫuru* – pi. *itḫuranu, itḫurate* (a kind of standard, emblem) M/NA, jB. მოცემული კანონის ფრაგმენტის კონტექსტში, ითხურუ არის ერთგვარი სამეფო სიმბოლო ან სტანდარტი (ემბლემა), რომლის კარავიც სასახლის ტერიტორიაზე იყო აღმართული. ამ სიმბოლოს დგომა მიუთითებს გარკვეული წესების მოქმედებაზე, კერძოდ კი, რომ ქალაქში მყოფი ქალბატონების სასახლეში შესვლისას დაცული უნდა იყოს გარკვეული პროტოკოლი.

[7] = პრეტენზია.

16. (76-77 [F rev. 1- 2, G rev. 2, H 6- 7]). [ნინურთა-აფილ-ექურმა, ზედამხედველმა, ერიბა-ადადის ძემ,] რომელიც თავადაც [ზედამხედველი იყო,] გამოსცა დადგენილება თავისი სასახლისთვის: [თუ სასახლის ქალი ... (სასახლის ...) ...].

17. (78-81 [F rev. 3-6. G rev. 3-5. H 8-10]). [ნინურთა-აფილ-ექურმა, ზედამხედველმა, ერიბა-ადადის ძემ,] რომელიც თავადაც [ზედამხედველი იყო,] გამოსცა დადგენილება თავისი სასახლისთვის: [თუ] სასახლის [ქალი] დაწყევლის [...], ან [თუ ის დაწყევლის] თუქულთი-ნინურთას შთამომავალს, [ან სამეფო ოჯახის სხვა წევრს, ან სამეფო საძინებლის მოხელეს, ...] ან ტახტის მოხელეს, ან თუ ბოროტად დაწყევლის ნებისმიერ ქალს, რომელიც მასზე დაბალია მდგომარეობით, [...] (ბავშვის?) მტარებელი; სასახლის ქალს ცხვირი უნდა გაუხვრიტონ; და მას წნელი [30-ჯერ (?)] უნდა დაჰკრან.

18. აშურ-დან I (მეფობდა ძვ.წ. 1178-1133 წწ.)

18. (82-90 [F rev. 7-15, G rev. 6-12]). [აშურ-დანმა, ზედამხედველმა, ნინურთა-აფილ-ექურის ძემ,] რომელიც თავადაც ზედამხედველი იყო, გამოსცა დადგენილება თავისი სასახლის პერსონალისთვის: თუ მეფის ცოლის, [ან სასახლის ნებისმიერი სხვა ქალის მონა ქალი] ჩაიდენს [დანაშაულს თავისი ქალბატონის წინააღმდეგ, ან ... -ს ...], ან რაიმე არასწორ საქციელს ჩაიდენს, (მაშინ) ან [მეფის ცოლი, ან] სასახლის ქალი, რომლის მონა ქალმაც ჩაიდინა დანაშაული, მას წნელი 30-ჯერ უნდა დაჰკრან. [... თუ მონა ქალი], რომელიც თავისი ქალბატონის მიერ დასჯილი იყო (პირველი დანაშაულისთვის) [...], ჩაიდენს (მეორე) დანაშაულს თავისი ქალბატონის წინააღმდეგ, [ან...] ან ჩაიდენს (მეორე) არასწორ საქციელს, მისმა ქალბატონმა ის [მეფესთან უნდა მიიყვანოს]; მეფის თანდასწრებით, მას დაეკისრება სასჯელი, რომელსაც მეფე დაადგენს: [...] მეორედ ის (მონა ქალი) თავის ქალბატონს დაუბრუნდება. თუ სასახლის ქალი, [რომლის მონა ქალიც] მან სცემა [სამეფო ბრძანებულების მიხედვით, გადაამეტებს და მონა] დარტყმებისგან მოკვდება, ან სასახლის ქალი, რომელმაც თავისი მონა ქალი მოკლა, [თავისი თავხედობისთვის დაისჯება; ის დამნაშავეა და პასუხს აგებს მეფის წინაშე.

19. აშურ-რეშა-იში I (მეფობდა ძვ.წ. 1132-1115 წწ.)

19. (91-94 [F rev. 16-19. Grev. 13-16]). [აშურ-რეშა-იში, ასურეთის მეფე, მუთაქილ-ნუსქუს ძე,] რომელიც თავადაც ასურეთის მეფე იყო, გამოსცა დადგენილება თავისი სასახლისთვის: თუ სასახლის ქალი [და ... (კაცი)] მარტო დგანან, მათთან მესამე პირი არ არის, მიუხედავად იმისა, [ფლირტაობენ] თუ [სერიოზულად (?) იქცევიან], ისინი უნდა მოკლან. თუ კარის მსახური ან მისი თანაბარი სტატუსის ქალი, რომელიც მას ხედავს, [არ აცნობებს მეფეს (?)...]; ის (ქალი) თავისი ბატონის წინაშე დაფარულია (ანუ, მას ეკუთვნის): მათ თვითმხილველი, იქნება ეს ქალი თუ კაცი, უნდა დაწვან.[8]

20-23. ტიგლათფილესერ I (მეფობდა ძვ.წ. 1114-1076 წწ.)

[8] = ღუმელში ჩააგდონ.

20. (95-101 [F rev. 20-26, Grev. 17-22]). ტიგლათფილესერმა, სამყაროს მეფემ, ასურეთის მეფემ, აშურ-რეშა-იშის ძემ, რომელიც თავადაც ასურეთის მეფე იყო, გამოსცა დადგენილება შიდა ქალაქის სასახლის მეთაურისთვის, სასახლის მაცნესთვის, საპროცესიო რეზიდენციის[9] წყლის შემასხურებელთა მეთაურისთვის, შიდა ტერიტორიის ექიმისთვის და მთელი ქვეყნის ყველა სასახლის გამრიგესთვის: სამეფო კარის მსახურებს ან მიძღვნილ პირებს,[10] რომლებსაც სასახლეში შესვლის უფლება აქვთ, შემოწმების გარეშე სასახლეში შესვლა არ შეუძლიათ. თუ ის სათანადოდ არ არის დასაჭურისებული, მას მეორედ დაასაჭურისებენ. თუ შიდა ქალაქის სასახლის მეთაური, სასახლის მაცნე, საპროცესიო რეზიდენციის წყლის შემასხურებელთა მეთაური, შიდა ტერიტორიის ექიმი, ან მთელი ქვეყნის ყველა სასახლის გამრიგე დასაჭურისებელ მსახურს სასახლეში შესვლის ნებას დართავენ და (ამ დანაშაულის შესახებ) მოგვიანებით გაიგებენ, თითოეულ ამ მოხელეს ფეხს მოჰკვეთენ.

21. (102-112 [E rev. 1-7. F rev. 27-37]). ტიგლათფილესერმა, სამყაროს მეფემ, ასურეთის მეფემ, აშურ-რეშა-იშის ძემ, რომელიც თავადაც ასურეთის მეფე იყო, გამოსცა დადგენილება სამეფო კარის მსახურებისთვის: თუ სასახლის ქალები მღერიან ან ერთმანეთს ეკამათებიან, და სამეფო კარის მსახური, საჭურისი ან სხვა ვინმე მათთან ახლოს დგას და უსმენს, ის მკაცრად დაისჯება. მას 100-ჯერ დაარტყამენ და ერთ ყურს მოჰკვეთენ.[11] თუ სასახლის ქალი მხრებს გაიშიშვლებს და არ არის დაფარული *ქინდაბაშის*-სამოსით,[12] და ის უხმობს კარისკაცს, ეუბნება რა: „... მოდი აქ, მინდა ბრძანება მოგცე“, და კარისკაცი მასთან სასაუბროდ შეყოვდება, მას 100-ჯერ დაარტამენ. თვითმხილველი, რომელიც მას დაასმენს, მის სამოსს წაიღებს. მას კი წელზე მხოლოდ ტომრის ნაჭერს შემოახვევენ.[13] თუ სამეფო კარის მსახურს სასახლის ქალთან საუბარი სურს, ის მას შვიდ ნაბიჯზე ახლოს არ უნდა მიუახლოვდეს. ვინც დაარღვევს ამ დადგენილებას და სასახლის მეთაური გაიგებს ამის შესახებ, მაგრამ მას სასჯელს არ დააკისრებს, სასახლის მეთაური პასუხისმგებელი იქნება ჩადენილ დანაშაულზე. მაშინაც კი, თუ სასახლის მეთაურის მოხელეები არ

---

[9] საპროცესიო რეზიდენცია შეიძლება იყოს: სასახლის ნაწილი, სადაც მეფე და მისი გარემოცვა ემზადებოდნენ საზეიმო მსვლელობისთვის; ან ადგილი, სადაც მსვლელობისას ღვთაების ქანდაკებას ან სხვა წმინდა ნივთებს დგამდნენ; ან სამეფო ოჯახის დროებითი საცხოვრებელი, რომელსაც იყენებდნენ საზეიმო ღონისძიებების დროს. ანუ ეს არის ადგილი, რომელიც რიტუალურ და საზეიმო მიზნებს ემსახურებოდა.

[10] ესენი შესაძლოა იყვნენ: მონები: ადამიანები, რომლებიც მონად მიჰყიდეს ტაძარს ან სამეფო კარს; მსახურები: პირები, რომლებსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში კონკრეტული ღვთაების ან მეფის მსახურება ევალებოდათ; ტაძრის მსახურები: ადამიანები, რომლებიც ტაძრის რიტუალებში მონაწილეობდნენ და მის კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, ანუ „მიძღვნილი პირი“ არის ადამიანი, რომელიც სასახლეს ან ტაძარს ეკუთვნის და მათი ინტერესების სამსახურშია.

[1111] ბრძანებულების ეს ნაწილი კატეგორიულად კრძალავს იმას, რომ სასახლის მამაკაცმა პერსონალმა მიაყურადოს ქალების პირად საუბრებს ან საქმიანობას. ასეთი ქმედება დანაშაულად ითვლება, რაც სასჯელის სიმკაცრითაც დასტურდება.

[12] kindabašše არის ერთგვარი სამოსი, რომელიც ასურულ ხანაში გამოიყენებოდა. ის უცხოური წარმოშობის სიტყვაა. კონტექსტიდან გამომდინარე ეს სამოსი, სავარაუდოდ, მხრების დასაფარად გამოიყენებოდა.

[13] ამ ბრძანებულების მიზანი იყო სამეფო კარზე ქალებისა და მამაკაცების მკაცრი კონტროლი. ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო, შეხება ან ახლოს დგომა დანაშაულად ითვლებოდა. ეს წესი იცავდა სამეფო ოჯახის წევრების ღირსებას.

შეამოწმებენ მთელ სასახლეს გულმოდგინედ და არ შეატყობინებენ მას დარღვევის შესახებ, მოგვიანებით თუ მეფე გაიგებს დანაშაულის შესახებ, ისინი ყველა შესაბამის სასჯელს სასახლის მეთაურს დააკისრებენ. თუ წყლის შემასხურებლებს სასახლის შიგნით სამუშაო აქვთ და სასახლის ქალები დგანან მათი საპროცესიო რეზიდენციის შესასვლელთან, მათ ეს უნდა შეატყობინონ სასახლის მეთაურს; მხოლოდ მას აქვს უფლება, რომ ქალები საპროცესიო რეზიდენციის შესასვლელიდან გაიყვანოს.

22. (113-121 [D rev. 1-6, E rev. 8-16, F rev. 38-39]). ტიგლათფილესერმა, სამყაროს მეფემ, ასურეთის მეფემ, აშურ-[რეშა-იშის ძემ, რომელიც თავადაც ასურეთის მეფე იყო, გამოსცა] დადგენილება თავისი სასახლისთვის: [თუ...] ან მიძღვნილი პირი ან მუსიკოსი [ესაუბრება...], ამბობს რა: „სასახლის პერსონალი [...],“ [...] თუ სასახლის პერსონალი ტოვებს სამეფო სასახლეს, რათა [წავიდეს...] სამეფო საჭურისებთან, კარისკაცებთან და მიძღვნილ პირებთან, [...] რომლებიც [მიაქვთ(?)] საჭმელი და ლუდი სასახლეში [...] მან არ გახსნა [...] მეფის დედა ან მეფის ცოლი [...] ის უნდა გაიყვანოს [...] ან ტაძარი [...] ის ცხოვრობს [...] სამეფო საჭურისი [...].

23. (122-136 [A rev. 1-2, D rev. 7-21, E rev. 17]). ტიგლათფილესერმა, [სამყაროს მეფემ, ასურეთის მეფემ, აშურ-რეშა-იშის ძემ, რომელიც თავადაც ასურეთის მეფე იყო,] გამოსცა [დადგენილება ...-თვის,] და თქვა: ნებისმიერი, [ვინც ...] აშურ-ნადინ-ახეს სასახლიდან, [...] ორი მებაღე, ერთი მცხობელი, [...] სასახლის პერსონალი ვინმეს ქურდობისას ან სხვა დანაშაულის ჩადენისას წაასწრებს [...] აღმოაჩენენ. ან სანამ [...] სასახლის პერსონალს [...] მის დაუნახავად, სამეფო კარის მსახურები [...] ცარიელი [...] აშურ-ნადინ-ახეს სასახლეში [...] სამეფო კარის მსახურებთან ერთად [...] სულ 19 სამეფო კარის მსახური [...] სამეფო კარის მსახური [...] სამეფო კარის მსახური [...].

კოლოფონი

(A rev. 3-5). თუ სამეფო კარის მსახურებიდან, [ან ...] საჭურისებიდან, ... (სასახლის მოხელეები), მიძღვნილი პირები, [..., დაარღვევენ რომელიმე ამ ბრძანებულებას,] ისინი ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აგებენ. მათ [ეს ბრძანებულებები] უნდა გამოაცხადონ [... ყოველ x წელიწადში(?).].

(A rev. 6). [თვე ..., დღე ..., ეპონიმი[14] სინ-აფლა-იდდინასი].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა/REFERENCES

The Assyrian Dictionary of the Oriental Institute of the University of Chicago (CAD) 2 (1965).
The Assyrian Dictionary of the Oriental Institute of the University of Chicago (CAD) 12 (2005).

[14] ეპონიმი – ნიშნავს პიროვნებას, რომლის სახელიც ეწოდა რაიმეს, მაგალითად, ქალაქს, ეპოქას, კანონს ან სხვა მნიშვნელოვან მოვლენას. ამ კონტექსტში, ძველ ასურეთში, წლებს ასახელებდნენ მაღალი თანამდებობის პირის (ეპონიმის) სახელს. ამიტომ, „ეპონიმი სინ-აფლა-იდდინასი“ ნიშნავს წელს, რომელსაც სინ-აფლა-იდდინას სახელი ეწოდა, რადგან ის იყო ამ წელს მნიშვნელოვანი მოხელე, რომლის სახელითაც თარიღდებოდა ეს პერიოდი. ეს იყო დროის დათვლის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი ძველ ახლო აღმოსავლეთში.

RIA - Reallexikon der Assyriologie und Vorderasiatischen Archäologie. (1987-1990). Masse und Gewichte. Band 7. Walter de Gruyter . Berlin . New York. 457-529.

Aynard, M.J., Durand, J.M. (1980). Documents d'Epoque Medio-Assyrienne. Assur 3; 1-54.

Beckman, G.M., Foster, B. (1988). Assyrian Scholarly Texts in the Yale Babylonian Collection. Pp. 1-26 in A Scientific Humanist; Studies in Memory of Abraham Sacbs. Occasional Publications of the Samuel Noah Kramer Fund 9. Ed. by E. Leichty et al. Philadelphia: The University Museum.

Biggs, R. (1969). In Cuneiform Texts from Nippur, Eigbtb and Nintb Seasons. Assyrio- logical Studies 17. Ed. by G. Buccellati. Chicago: University of Chicago Press.

Black, J., George, ., Postgate, N. (2000). A Concise Dictionary of Akkadian. 2 nd (corrected) printing. Harrassowitz Verlag, Wiesbaden.

Brinkman, J.A., Civil, M., Gelb, I.J., Oppenheim, A.L., Reiner, E. (1980). The Assyrian Dictionary. Volume 11. N. Part I. 171.

Court, J.R. (1995). Codex Collections from Mesopotamia and Asia Minor. Scholars Press.

Driver, G.R., Miles, J., (1935). Tbe Assyrian Laws. Oxford: Clarendon. Reprint, Darmstadt: Scientia Verlag Aalen, 1975.

Grayson, A. K. (1972). Assyrian Royal Inscriptions 1: From tbe Beginning to Asbur-resba-isbi I. Wiesbaden: Otto Harrassowitz.

Grayson, A. K. (1976). Assyrian Royal Inscriptions 2: From Tiglath-pileser I to Ashur-nasir-apli II. Wiesbaden: Otto Harrassowitz.

Hertel, T.K. (2013). Old Assyrian Legal Practices: Law and Dispute in the Ancient Near East (Old Assyrian Archives , Studies, Volume 6). Leiden.

Jastrow, M. Jr., (1921). An Assyrian Law Code. Journal of the American Oriental Society, Vol. 41 (1921), pp. 1-59. Published by: American Oriental Society.

Johns, C. H. W. (1904). Babylonian And Assyrian Laws, Contracts and Letters. New York. Charles Scribner's Sons.

Roth, M.T. (1997). Law Collections from Mesopotamia and Asia Minor. V 6 (2).

Sasson, J.M. (2000). The Ancient Near East. An Encyclopedia for Students. V 1. 139.

Speiser, E.A. (1963). Cuneiform Law and the History of Civilization, 107 Proceedings of the American Philosophical Society 536 (1963)

Tallqvist, K. (1921). Old Assyrian Laws. Helsingfors.

Weidner, E. (1937/39). Das Alter der mittelassyrischen Gesetzestexte. Archiv fur Orientforschung 12: 46-54.

Weidner, E. (1954/56). Hof- und Harems-Erlasse assyrischer Konige aus dem 2. Jahrtausend v. Chr. Archiv fur Orientforschung 17: 257-93.